აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №35

02.08.2004 წ ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურის გაუქმებისა და რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ” ქვეპუნქტის საფუძველზე, აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. გაუქმდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 2. ამოღებული იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის მე-3 თავის მე-8 მუხლიდან პირველი პუნქტის „ზ” ქვეპუნქტი.

მუხლი 3. ამოღებული იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის მე-15 მუხლი.

მუხლი 4. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის 5) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 5. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ი. ფაღავა

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია